ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება–კონსერვატორების"

სხდომის ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი 25.09.2020 წელი

15.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება–კონსერვატორების" თავმჯდომარე

გოგი მორჩილაძე

ფრაქციის წევრები: ალექსანდრე მახათაძე, კარლო კვიტაიშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, გოგი მორჩილაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გოგი მორჩილაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გოგი მორჩილაძე/

3.სხვადასხვა საკითხები:

ფრაქციის თავმჯდომარემ გოგი მორჩილაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ გოგი მორჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის №18 განკარგულებაში შესატანია ცვლილებები კერძოდ, ნუსხასა და გეგმაში შესატანია შემდეგი ობიექტები:

1.აცანის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27 02 41 164) .

2. აცანის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27 02 41 224).

3. აცანის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27 02 41 163).

4. აცანის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27 02 42 155).

5. აცანის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27 02 42 152).

6. აცანის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27 02 42 104).

7. აცანის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27 02 42 107).

8. აცანის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27 02 42 154).

9. აცანის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27 02 42 105).

10 .ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ჩოლობარგში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27 04 51 692).

11. ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N122-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება (ს/კ 27 06 51 082)

პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე .

ფრაქციის თავმჯდომარემ გოგი მორჩილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ გოგი მორჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ,,საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი"-ს (ს/კ 211372593) პრეზიდენტის 2020 წლის 8 სექტემბრის № 01-01-53 (კანცელარიის N 5103, 09/09/2020 წ.) მომართვა, რომლითაც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა №76-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.001.01.500) მესამე სართულზე განთავსებული 24.75 კვ.მ. ფართი №14-ის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემა.

პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ გოგი მორჩილაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

3. სხვადასხვა საკითხები:

ვინაიდან ფრაქციის წევრების მიერ სხვა საკითხი არ დასმულა, ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება–კონსერვატორები"-ს

თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორების " წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.09. 2020 წელი
15 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გოგი მორჩილაძე	14 50	
2	კარლო კვიტაიშვილი	14 50	
3	ალექსანდრე მახათაძე	14 55	